მმართველობის ანგარიშგება

შპს ბიარეს

2019 წელი

შპს ბიარესი

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

საქმიანობის მიმოხილვა 2

მმართველობის ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის შესახებ ინფორმაცია 3

ჯგუფის მისია, მიზნები და ამოცანები 3

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 4

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა 4

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები 6

ჯგუფის განვითარების გეგმები 6

მესაკუთრის ცვლილება 6

ანგარიშგების მომზადების და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები 6

შპს ბიარესი

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობის ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის შესახებ ინფორმაცია

შპს ბიარესი (ს/კ 405284829) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია რომელიც დაარსდა 2018 წლის 9 აგვისტოს. მისი ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა.

2019 წლის 3 აპრილს რეორგანიზაციის პროცესის შედეგად მოხდა შპს ბიგოს (405287363) შერწყმა, რომელიც შეისყიდა 2019 წელის 18 მარტს და ფლობს 100%-იან წილს. შპს ბიგო შეძენის მომენტისთვის არ ეწეოდა საოპერაციო საქმიანობას. წარმოდგენილ მმართველობით ანგარიშგებაში მოხსენიებულია ერთობლივად „ჯგუფი" ან „ბიარესი ჯგუფი".

ნინა შუშანი (01013028369) (შემდგომში „ჯგუფის მესაკუთრე") არის ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი 2019 წლის ბოლოსთვის. ჯგუფის ძირითადი მმართველი და საოპერაციო საქმიანობის ზედამხედველი არის დირექტორი.

ჯგუფის მისია, მიზნები და ამოცანები

ბიარესი ჯგუფის მისიაა: ბაზარზე თავი დაიმკვიდროს როგორც ბიზნესის და თანმდევი პროცესების მმართველ კომპანიამ. ძირითადი მიზანია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ფინანსური სერვისების, კლიენტებთან ურთიერთობის სერვისების და ვალების ამოღებასთან დაკავშირებით მომსახურების გაწევა.

ძირითადი ამოცანა არის: მცოდნე და კვალიფიციური გუნდის შექმნა, რომელის ცოდნის არეალი იქნება მორგებული საჭირო პროცესების მართვას, ანალიზს და დამუშავებას. შესაბამისად, ჯგუფის მიზანია იყოს სტაბილურად მზარდი მომსახურე კომპანია.

შპს ბიარესი

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

	31 დეკემბერი 2019
აქტივები	
ფული და ფულის ეკვივალენტები	398,102
სავაჭრო მოთხოვნები	978,950
გადახდილი ავანსები	50,364
სხვა არამატერიალური აქტივები	6,049
ძირითადი საშუალებები	116,241
სხვა გრძელვადიანი აქტივები	500
მთლიანი აქტივები	**1,550,206**
ვალდებულებები და კაპიტალი	
ვალდებულებები	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	
საგადასახდო ვალდებულებები	
სხვა ვალდებულებები	2,958,325
მთლიანი ვალდებულებები	**2,958,325**
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	
დაგროვილი ზარალი	(1,408,119)
მთლიანი კაპიტალი	**(1,408,119)**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	**1,550,206**

შპს ბიარესი

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

	2019
საქონლის გაყიდვიდან	78,710
მომსახურების გაწევიდან	3,721,496
სხვა	3,612,329
საერთო მოგება	**7,412,535**
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,834,108)
ცვეთა და ამორტიზაცია	(254,048)
საერთო ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯები	(5,968,845)
გუდვილის გაუფასურების ხარჯი	0
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი	(811,867)
ზარალი დაბეგვრამდე	**(1,456,333)**
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	0
მთლიანი სრული ზარალი	**(1,456,333)**

შპს ბიარესი

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები - ბიარესი ჯგუფში 2019 წლის ბოლოსთვის დასაქმებულია 71 თანამშრომელი, საიდანაც 55 ქალია და 16 მამაკაცი. ჯგუფი დაკომპლექტებულია საკმაოდ ძლიერი, ერთგული და გამოცდილითანამშრომელბით;

აღსანიშნავია, რომ ჯგუფი მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე - კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჯგუფი ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.
კვლევები და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები - ჯგუფს 2019 წლის მდგომარეობით არ ჩაუტარებია კვლევები და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფის უმთავრესი მიზანია, კლიენტებისთვის საიმედო და სანდო მომსახურების შეთავაზება მათთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებით.

ჯგუფმა განახორციელა სტაბილური და დამაჯერებელი საქმიანობა 2019 წლისთვის. განახორციელა ფოკუსირება გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ჯგუფს აქვს დასახული შემდეგი სტრატეგიული მიდგომა:

- სიღრმისეულად შეისწავლოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არსებობისთვის საჭირო არეალი, დახვეწოს ფინანსური ანგარიშის წარდგენის ფორმა, რომელიც დამკვეთისთვის მეტად სანდო და აღსაქმელად უფრო ადვილი იქნება.
- დიდი ძალისხმევა ჩაიდო გუნდის დაკომპლექტებაში, ვინაიდან მომსახურების გაწევა მოითხოვს დიდ ბაზებთან მუშაობას, IFRS სტანდარტების ცოდნას, სხვადასხვა პროგრამებთან მუშაობის გამოცდილებას და ზოგადად ანალიტიკურ აზროვნებას, ერთგულებას და საქმისადმი პასუხისმგებლობით მიდგომას.

მესაკუთრის ცვლილება

2020 წლის 21 იანვარს შპს ბიარესის 100%-იანი წილი შეისყიდა შპს მისო ლენდომ.

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

ბიარესი ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი /ნინა შუშანი/

მთ.ბუღალტერი /ეკატერინე მარღანია/